

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამატებითი წესები .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებულ დავების მოგვარების პოლიტიკაზე

(WIPO-ს „დამატებითი წესები“)

(ძალაშია 2018 წლის 16 აპრილიდან)

1. მიზანი
2. განმარტებები
3. კომუნიკაცია
4. საჩივრის და თანდართული მასალების წარდგენა
5. შესაბამისობის დადგენის მოთხოვნები
6. საქმის ადმინისტრატორის არჩევა
7. შესაგებელის წარდგენა
8. არბიტრების არჩევის პროცედურა
9. განცხადებები
10. საფასური
11. სიტყვების რაოდენობის შეზღუდვა
12. ფაილის მოცულობა და ფორმატის მოდალობები
13. მორიგება
14. ცვლილებები
15. პასუხიმგებლობის გამორიცხვა

1. მიზანი

- (a) **წესებთან ურთიერთდამოკიდებულება.** ეს დამატებითი წესები უნდა განიმარტოს და გამოყენებულ იქნას .GE დომენური სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკის წესებთან („წესები“) ერთად, როგორც ეს დამტკიცებულია შპს „კავკასუს ონლაინის“ („ადმინისტრატორი“) მიერ.
- (b) **დამატებითი წესების ვერსია.** დამატებითი წესების ეს ვერსია, რომელიც ძალაშია საჩივრის წარდგენის თარიღისთვის გავრცელდება ასეთი საჩივრის საფუძველზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

2. განმარტებები

წინამდებარე დამატებით წესებში გამოყენებულ ნებისმიერ ტერმინს აქვს იგივე მნიშვნელობა, როგორც ეს განმარტებულია წესებში.

3. კომუნიკაცია

- (a) **მოლალობები.** წესების 3(b) და 5(c) პარაგრაფების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა თუ WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრთან („WIPO-ს ცენტრი“) სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, WIPO-ს ცენტრისთვის ან ადმინისტრაციული პანელისთვის წესების შესაბამისად ნებისმიერი შეტყობინება უნდა იქნას გაკეთებული:
 - (i) ელექტრონული ფოსტის (მეილი) საშუალებით WIPO-ს ცენტრის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე; ან
 - (ii) WIPO-ს ცენტრის ელექტრონული საქმის მასალების და ადმინისტრაციული სისტემის საშუალებით.
- (b) **არქივი.** WIPO-ს ცენტრმა უნდა უზრუნველყოს წესების საფუძველზე განხორციელებული ყველა სახის კომუნიკაციის არქივის წარმოება.

4. საჩივრის და თანდართული მასალების წარდგენა

- (a) **საჩივარი და თანდართული მასალები.** საჩივარი და ყველა თანდართული მასალა უნდა იქნას წარდგენილი სრული სახით, ელექტრონულად ფორმით (ქვემოთ მოცემული 12(a) პარაგრაფის შესაბამისად).
- (b) **საჩივრის თავფურცელი.** მოსარჩელემ საჩივარი უნდა წარადგინოს ან გადააგზავნოს A დანართში მოცემული თავფურცლით, როგორც ეს გამოქვეყნებულია WIPO-ს ცენტრის ვებ-გვერდზე.
- (c) **შეტყობინება რეგისტრატორისთვის.** მოსარჩელემ WIPO-ს ცენტრისთვის საჩივრის წარდგენისას უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლი ადმინისტრატორს და დაინტერესებულ რეგისტრატორს (რეგისტრატორებს).
- (d) **საჩივრის გაგზავნის ინსტრუქცია.** წესების 4(c) პარაგრაფის შესაბამისად WIPO-ს ცენტრმა მოპასუხეს ელექტრონული ფორმით უნდა გადაუგზავნოს საჩივარი და B დანართში მოცემული ინსტრუქციები, როგორც ეს გამოქვეყნებულია WIPO-ს ცენტრის

ვებ-გვერდზე. **წესების 2(a)(i) პარაგრაფის შესაბამისად WIPO-ს ცენტრმა** ასევე უნდა გადაუგზავნოს მოპასუხეს **წერილობითი შეტყობინება საჩივრის შესახებ**

5. შესაბამისობის დადგენის მოთხოვნები

- (a) **ხარვეზის დადგენის შესახებ შეტყობინება.** WIPO-ს ცენტრმა საჩივრის მიღებიდან ხუთი (5) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეამოწმოს საჩივრის ფორმალური შესაბამისობა .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკის („დავების მოგვარების პოლიტიკა“), **წესების და დამატებითი წესების** მოთხოვნებთან და შეატყობინოს **მოსარჩელეს და მოპასუხეს** ნებისმიერი ხარვეზის არსებობის შესახებ.
- (b) **წარმოებაში არ მიღება.** იმ შემთხვევაში თუ **მოსარჩელე WIPO-ს ცენტრის** მიერ განსაზღვრული ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრას ვერ შეძლებს იმ დროის პერიოდში, როგორც ეს მოცემულია წესების 4(d) პარაგრაფში (ხუთი (5) კალენდარული დღე), **WIPO-ს ცენტრი** უფლებამოსილია შეატყობინოს **მოსარჩელეს და მოპასუხეს, ადმინისტრატორს და დაინტერესებულ რეგისტრატორს** (რეგისტრატორებს) საჩივრის წარმოებაში არ მიღების შესახებ.
- (c) **თანხის უკან დაბრუნება.** გარდა იმ შემთხვევისა როდესაც **მოსარჩელე** დაადასტურებს, რომ თავიდან შეიტანს საჩივარს მას შემდეგ რაც **WIPO –ს ცენტრი** უარს იტყვის საჩივრის წარმოებაში მიღებაზე, **WIPO-ს ცენტრი** ვალდებულია დაუბრუნოს **მოსარჩელეს წესების 19-ე პარაგრაფის შესაბამისად გადახდილი თანხა, D დანართში მოცემული საჩივრის** დამუშავების საფასურის გამოკლებით.

6. საქმის ადმინისტრატორის არჩევა

- (a) **შეტყობინება.** WIPO-ს ცენტრმა **მხარეებს** უნდა ურჩიოს თავისი პერსონალიდან იმ პირების სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც შესაძლოა იყვნენ **საქმის ადმინისტრატორები** და რომლებიც დავასთან და **ადმინისტრაციულ პანელთან** კომუნიკაციასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ საკითხებზე იქნებიან პასუხისმგებელი პირები.
- (b) **ვალდებულებები.** საქმის **ადმინისტრატორი** უფლებამოსილია გაუწიოს ადმინისტრაციული დახმარება **არბიტრებს და ადმინისტრაციულ პანელს**, მაგრამ არ აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება დავასთან დაკავშირებულ არსებით საკითხებზე.

7. შესაგებელის წარდგენა

შესაგებელი და თანდართული მასალები უნდა იქნას წარდგენილი სრულად ელექტრონული ფორმით (ქვემოთ მოცემული 12-ე პარაგრაფის შესაბამისად).

8. არბიტრების არჩევის პროცედურა

- (a) **მხარის კანდიდატები.** იმ შემთხვევაში, როცა **მხარე** ვალდებულია დაასახელოს სამი (3) კანდიდატი **WIPO- ს ცენტრის** მიერ არბიტრად არჩევის კანდიდატად (წესების 2(b)(iv),

5(c)(v) და 6(d) პარაგრაფების შესაბამისად), მხარემ უნდა მიუთითოს სამი კანდიდატის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია მისთვის სასურველი რიგითობით. **არბიტრის** არჩევის დროს WIPO-ს **ცენტრმა** შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს მხარის მიერ მითითებული რიგითობა.

(b) თავმჯდომარე არბიტრი

- (i) **წესების 6(e)** პარაგრაფის შესაბამისად არჩეული მესამე **არბიტრი** უნდა იყოს პანელის **თავმჯდომარე არბიტრი**.
- (ii) **წესების 6(e)** პარაგრაფის შესაბამისად თუ **მხარე** ვერ შეძლებს რომ მიუთითოს WIPO-ს **ცენტრს** მისთვის სასურველი რიგითობა **თავმჯდომარე არბიტრისთვის**, WIPO-ს **ცენტრმა** მიუხედავად ამისა მაინც უნდა აირჩიოს **თავმჯდომარე არბიტრი**.
- (iii) **წესების 6(e)** პარაგრაფში მითითებული პროცედურის მიუხედავად, **მხარეები** უფლებამოსილები არიან ერთობლივად შეთანხმდნენ **თავმჯდომარე არბიტრის** ვინაობაზე, რა შემთხვევაშიც წერილობით უნდა აცნობონ WIPO-ს **ცენტრს** **წესების 6(e)** პარაგრაფში მითითებული კანდიდატების სიის მიღებიდან ხუთ (5) კალენდარული დღის ვადაში.

(c) მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა

იმ შემთხვევაში თუ **მოპასუხე** არ წარადგენს შესაგებელს ან არ გადაიხდის საფასურს **წესების 5(d)** პარაგრაფის შესაბამისად WIPO-ს **ცენტრის** მიერ დაწესებულ ვადაში, WIPO-ს **ცენტრი** უფლებამოსილია აირჩიოს **ადმინისტრაციული პანელი** შემდეგნაირად:

- (i) იმ შემთხვევაში თუ **მოსარჩელემ** აირჩია ერთი არბიტრისგან შემდგარი **პანელი**, WIPO-ს **ცენტრმა** უნდა აირჩიოს **არბიტრი** მის გამოქვეყნებული სიიდან.
- (ii) იმ შემთხვევაში თუ **მოსარჩელემ** აირჩია სამი არბიტრისგან შემდგარი **პანელი** WIPO-ს **ცენტრმა** ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უნდა აირჩიოს **მოსარჩელის** მიერ წარდგენილი სიიდან ერთი **არბიტრი**, და მეორე და თავმჯდომარე **არბიტრი** თავისი გამოქვეყნებული სიიდან.

9. განცხადებები

წესების მე-7 პარაგრაფის შესაბამისად, **არბიტრის** არჩევამდე კანდიდატი ვალდებულია წარუდგინოს WIPO-ს **ცენტრს** **დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ განცხადება C** დანართის ფორმის შესაბამისად, როგორც ეს გამოქვეყნებულია WIPO-ს **ცენტრის ვებ-გვერდზე**.

10. საფასური

ადმინისტრაციული წარმოების საფასური მოცემულია D დანართში და გამოქვეყნებულია WIPO-ს **ცენტრის ვებ-გვერდზე**.

11. სიტყვების რაოდენობის შეზღუდვა

- (a) წესების 3(b)(ix) პარაგრაფის შესაბამისად სიტყვების ლიმიტი არის 5,000 სიტყვა.
- (b) წესების 5(v)(i) პარაგრაფის შესაბამისად სიტყვების რაოდენობის ლიმიტი არის 5,000 სიტყვა.
- (c) წესების 15(e) პარაგრაფის შესაბამისად არ არის სიტყვების ლიმიტი.

12. ფაილის მოცულობა და ფორმატის მოდალობები

- (a) წესების 3(b) პარაგრაფის შესაბამისად ფაილის მოცულობა და ფორმატის მოდალობები უნდა იყოს E დანართში მოცემულის შესაბამისი, რომელი დანართიც გამოქვეყნებულია WIPO-ს ცენტრის ვებ-გვერდზე.
- (b) წესების 5(c) პარაგრაფის შესაბამისად ფაილის მოცულობა და ფორმატის მოდალობები უნდა იყოს E დანართში მოცემულის შესაბამისი, რომელი დანართიც გამოქვეყნებულია WIPO-ს ცენტრის ვებ-გვერდზე.

13. მორიგება

წესების 17-ე პარაგრაფის შესაბამისად თუ პანელის არჩევამდე მხარეები შეთანხმდებიან მორიგებაზე, მხარეებმა უნდა შეატყობინონ WIPO-ს ცენტრს.

14. ცვლილებები

დავების მოგვარების პოლიტიკის და წესების შესაბამისად WIPO-ს ცენტრი უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს ამ დამატებით წესებში საკუთარი შეხედულებისამებრ.

15. პასუხიმგებლობის გამორიცხვა

არც ადმინისტრაციულ პანელს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას, WIPO-ს ცენტრს მხარეების წინაშე დაინტერესებული რეგისტრატორის ან ადმინისტრატორის წინაშე არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი ქმედებისთვის, გარდა განზრახ სამართალდარღვევისა, ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით.